

ლევან ჟიჟიაშვილი - მეცნიერი და მასწავლებელი



ლევან ჟიჟიაშვილი დაიბადა დუშეთის რაიონის მაღალმთიან სოფელ ხორხში, ოჯახში, რომელშიც დიდ პატივს მიაგებდნენ განათლებას. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ბატონი ლევანის დიდი სამეცნიერო მიღწევები მისი ბავშვობისდროინდელი ოცნებების ხორცშესხმა იყო.

ლ. ჟიჟიაშვილმა 1951 წელს ოქროს მედალზე დაასრულა საშუალო სკოლა დუშეთში, 1951 წელს ჩაირიცხა და 1959 წელს წარჩინებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტი.

ლ. ჟიჟიაშვილის სამეცნიერო ინტერესები ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებიდან დაუკავშირდა ჯერადი ფურიეს ტრიგონომეტრიული მწკრივების პრობლემატიკას. მან უმნიშვნელოვანესი წვლილი შეიტანა მრავალგანზომილებიანი ჰარმონიული ანალიზის კლასიკური ასპექტების - ჯერად ფურიეს ტრიგონომეტრიულ მწკრივთა კრებადობისა და შეჯამებადობის პრობლემების, ასევე მრავალგანზომილებიანი შეუღლების ოპერატორისა და ჰილბერტის გარდაქმნის მეტრიკული თვისებების შესწავლაში. მან სტუდენტობისა და ასპირანტურაში სწავლის პერიოდში მიიღო ძალზე საინტერესო შედეგები ჯერად ფურიეს მწკრივთა ჩეზაროს აზრით შეჯამებადობის შესახებ, რომელთა საფუძველზე 1961 წელს თბილისის ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტში დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, ფუნქციათა თეორიის ქართული სკოლის ერთ-ერთი დამაარსებლის პროფესორ ვლადიმერ ჭელიძის ხელმძღვანელობით (ვლ. ჭელიძის სახელი დაკავშირებულია დანჟუას ინტეგრალის მრავალგანზომილებიანი თეორიის შექმნასთან). ახალგაზრდა მკვლევარმა უდიდესი მონდომებითა და ინტენსივობით გააგრძელა მუშაობა არჩეული მიმართულებით: 1964 წელს შრომათა ციკლის საფუძველზე გამოსცა მონოგრაფია; 1965-1967 წლებში აქტიური მონაწილეა ფუნქციათა თეორიის მიმართულებით მსოფლიოში ცნობილი, პეტრე ულიანოვისა და დიმიტრი მენშოვის სამეცნიერო სემინარისა მოსკოვის ი. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში. 1967 წელს ლ. ჟიჟიაშვილმა მოსკოვის უნივერსიტეტში მოიპოვა მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი. დისერტაცია წამყვანი მათემატიკური წრეების მიერ იმთავითვე აღიარებული იქნა უმნიშვნელოვანეს გამოკვლევად ჯერად ფურიეს მწკრივთა თეორიის განვითარების თვალსაზრისით.

შემდგომში ლ. ჟიჟიაშვილს არასდროს შეუწყენია დამაბული შემოქმედებითი მუშაობა, რის დასტურადაც გამოდგება მის მიერ გამოქვეყნებული:

- 80-ზე მეტი სამეცნიერო სტატია
- ორი ვრცელი მიმოხილვითი ნაშრომი ჟურნალში “Успехи математических наук” მიძღვნილი ფურიეს მრავალგანზომილებიანი ანალიზის პრობლემებისადმი (1973 და 1977 წლები)
- მიმოხილვითი მონოგრაფია „მრავალგანზომილებიანი ჰარმონიული ანალიზის ზოგიერთი საკითხი“ (თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა; სამი გამოცემა, 1981, 1996 და 2004 წლები)
- მონოგრაფია „Trigonometric Fourier series and there conjugates”, Kluwer, 1996.

უკანასკნელი მონოგრაფია აჯამებს ლ. ჟიჟიაშვილის მდიდარ სამეცნიერო მემკვიდრეობას. ფუნდამენტურ რეზულტატებთან და კვლევის მეთოდებთან ერთად, მონოგრაფია უაღრესად აქტუალურია მასში დასმული პრობლემებით, რომელთა გადაჭრა მნიშვნელოვანია თეორიის შემდგომი განვითარებისათვის. ეს წიგნი დიდი ხნის განმავლობაში დარჩება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანეს წყაროდ მრავალგანზომილებიანი ფურიეს ანალიზის შესწავლით დაინტერესებულ მკვლევართათვის.

ბატონმა ლევანმა წარუშლელი კვალი დატოვა როგორც მასწავლებელმა და მეცნიერების ორგანიზატორმა: 1968 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, 1978 წლიდან სათავეში ედგა ფუნქციათა თეორიისა და ფუნქციონალური ანალიზის კათედრას და მასთან არსებულ სამეცნიერო სემინარს, ათწლეულების განმავლობაში ხელმძღვანელობდა თსუ-სთან არსებულ ალგებრის, ტოპოლოგიისა და ფუნქციათა თეორიის სადისერტაციო საბჭოს, 1977-1982 წლებში იყო თსუ-ს მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის დეკანი.

ლ. ჟიჟიაშვილის ხელმძღვანელობით 12-მა მეცნიერმა დაიცვა სადოქტორო, ხოლო 30-მდე მკვლევარმა – საკანდიდატო დისერტაცია. ამ შემთხვევაში წარმატებულ მოსწავლეთა სიმრავლე მხოლოდ ხელმძღვანელის კვალიფიციურობითა და მისი პრობლემატიკის მრავალფეროვნებით ვერ აიხსნება. ლევან ჟიჟიაშვილს ერთის მხრივ ჰქონდა ნიჭიერი და შრომისმოყვარე ახალგაზრდების შერჩევის, ხოლო მეორე მხრივ, რწმენის შთაბერვისა და მოსწავლის მისსავე შესაძლებლობებში დარწმუნების განსაკუთრებული უნარი. ამას თან ერთვის მამობრივ მზრუნველობა და პასუხისმგებლობა, რომლითაც ბატონი ლევანი იყო დაკავშირებული დამწყებ მკვლევარებთან.

გამორჩეული სამეცნიერო და პედაგოგიური მიღწევებისათვის ლევან ჟიჟიაშვილი 1974 წელს არჩეული იქნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 1993 წელს - ნამდვილ წევრად.

ლ. ჟიჟიაშვილს მჭიდრო კოლეგიალური და მეგობრული ურთიერთობა აკავშირებდა მრავალ ცნობილ უცხოელ მათემატიკოსთან, რომელთა შორის არიან: პეტრე ულიანოვი, ბორის გოლუბოვი, ვალენტინ სკვორცოვი, გიორგი ტალალიანი, ლასლო ლეინდლერი, ალექსანდრე სტეპანევი, კონსტანტინე ოსკოლკოვი, შავკატ ალიმოვი და სხვა.

ლევან ჟიჟიაშვილი იყო ღრმადმორწმუნე ქრისტიანი და სამშობლოს მხურვალედ მოყვარული. ის დაიბადა და გაიზარდა მხარეში, რომელმაც ქართულ და მსოფლიო მწერლობას გენიალური ვაჟა-ფშაველა აჩუქა. ბატონ ლევანს მიაჩნდა, რომ ნებისმიერი ცოდნა სულიერებით უნდა იყოს გასხივოსნებული, რასაც მის კაბინეტში სასემინარო დაფის თავზე დაკიდებული ვაჟას სურათი ადასტურებდა. მისი ცხოვრებაც, ვაჟას გმირების მსგავსად, ჭეშმარიტების უკომპრომისო ძიებით, სამშობლოსა და მოყვასისადმი უანგარო თავდადებით იყო სავსე.

სახელოვანი მეცნიერის ხსოვნის უკვდავსაყოფად და დაბადებიდან მე-80 წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს სამეცნიერო ფონდის ხელშეწყობით 2013 წლის 23-28 ოქტომბერს ბაზალეთის კომპლექსში გაიმართა საერთაშორისო კონფერენცია „ფურიეს ანალიზი და აპროქსიმაციის თეორია“, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ფუნქციათა თეორიისა და ჰარმონიული ანალიზის მსოფლიოში ცნობილმა 40-მდე მეცნიერმა.